

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

29__12__2014 წელი

2 ეგზ.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო, მერია

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 32/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჟ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ	5
არაპროდუქტიული განკარგვა.....	5
არამიზნობრივი განკარგვა.....	7
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ	7
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	8
ოფისის ხარჯები	8
წარმომადგენლობით ხარჯები.....	8
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.....	9
ბათუმის საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.....	10
ბათუმის მერიის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	11
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	13
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	Error! Bookmark not defined.



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს და მერიის ბალანსებს, ბიუჯეტის პროგრამული კოდის - 01 00 დაფინანსების ფარგლებში, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის (ბიუჯეტის პროგრამული კოდი 01 02 დაფინანსების ნაწილში) ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.



დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

არაპროდუქტიული განკარგვა

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ, ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე და თამარის დასახლებაში მდებარე სახანძრო შენობების სარემონტო



სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი¹. სატენდერო პირობებით მოთხოვნილი იქნა, რომ პრეტენდენტს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (2008, 2009, 2010) შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი) სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 250 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N1 შესაბამისად. უკანასკნელი 3 წელი, ტენდერის გამოცხადების თარიღის გათვალისწინებით, არის არა 2008 – 2010 წწ., არამედ 2009-2011 წწ. დადგენილი ორაზროვანი მოთხოვნა ხელს არ უწყობს ეფექტურ კონკურენციას და მერიის შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს.

ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „ბანი“, რომლის სატენდერო წინადადების ფასმა შეადგინა 118 969 ლარი. ტენდერის პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებით² სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 1 აგვისტომდე პერიოდი. მიწოდების ვადის დასრულებამდე 5 დღით ადრე, 2012 წლის 26 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება N1, რომლითაც მიმწოდებლის ვალდებულებათა შესრულების ვადა 2012 წლის 1 აგვისტოდან გაგრძელებული იქნა 2012 წლის 15 აგვისტომდე. ვადის გაგრძელებას საფუძვლად მითითებულია, რომ თამარის დასახლებაში მდებარე სახანძრო შენობის შიდა კედლების სამღებრო სამუშაოები ხარჯთაღრიცხვით შეადგენს 434 კვადრატულ მეტრს, ხოლო ადგილზე შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ შენობის შიდა კედლები შეადგენს 1 783 კვადრატულ მეტრს. აღნიშნულის გამო, მერიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სახანძრო შენობის სამეთვალყურეო კოშკის სარემონტო სამუშაოების ნაცვლად, გამოთავისუფლებული თანხებით დაეფინანსებინა თამარის დასახლებაში მდებარე სახანძრო შენობის შიდა სამღებრო სამუშაოების დასრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით განხორციელებულია ერთი სახის სამუშაოს, იგივე ღირებულების და სირთულის სხვა სახის სამუშაოთი შეცვლა. შესაბამისად, ხელშეკრულების ვადის დაუსაბუთებელი გაგრძელების შედეგად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში არ იქნა მიმართული მიმწოდებლისათვის დასარიცხი პირგასამტეხლო 8 923 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შორის შეთანხმების გაფორმების მომენტისათვის, მიწოდების ვადის დასრულებამდე 5 დღით ადრე, მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა მხოლოდ მთლიანი სამუშაოების 67.8%.

ამასთან, თამარის დასახლებაში მდებარე სახანძრო შენობის სარემონტო სამუშაოების პროექტში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატა შენობის

¹ SPA120008227

² ხელშეკრულება N147, 20/04/2012 წ.



შიდა კედლების სამღებრო სამუშაოების მოცულობებს შორის არსებით შეუსაბამობაში, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არ გაუტარებია.

არამიზნობრივი განკარგვა

შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების აუდიტით დგინდება, რომ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის 14 თანამშრომელზე ზედმეტად დარიცხული და გაცემულია 3 976 ლარის ოდენობის ხელფასი. ზედმეტობა ძირითადად გამოწვეულია საანგარიშო თვეში თანამდებობრივი სარგოსა და საშვებულებო ანაზღაურების ერთდროულად დარიცხვის შემთხვევებით. ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

N	სახელი, გვარი	ზედმეტად დარიცხული შრომის ანაზღაურების ოდენობა (ლარი)	საანგარიშო პერიოდი	შენიშვნა
1	ჯემალ ანანიძე	341.7	მარტი	
2	ბაგრატ ხალვაში	26	ივნისი - ივლისი	
3	ირაკლი სურმაშიძე	75	სექტემბერი - ოქტომბერი	
4	დავით ნაკაშიძე	400	ივლისი - სექტემბერი	
5	შოთა მახარაძე	73.6	ივლისი - სექტემბერი	
6	გუგული ათაბაძე	54	აგვისტო - ოქტომბერი	
7	ანზორ სარჯველაძე	540	მაისი - ივლისი	
8	ჯაბა ბერიძე	700	იანვარი - თებერვალი	
9	შოთა ცაავა	700	იანვარი - თებერვალი	
10	მამია ვერმაძე	700	იანვარი - თებერვალი	
11	თამარ ბარამიძე	70	ივლისი - სექტემბერი	
12	დავით ბოლქვაძე	98.6	აგვისტო	
13	დურალ დიასამიძე	98.6	აგვისტო	
14	ზურაბ ხაბაძე	98.6	აგვისტო	
ჯამი:		3 976		

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.



მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

ოფისის ხარჯები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აეროპორტის და გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული ერთეულების სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში განთავსებულია ასევე შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ ამბულატორიები. ქალაქ ბათუმის მერია, 2011 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების³ საფუძველზე, 2012 წლის განმავლობაში, იხდიდა აეროპორტის და გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული ერთეულების, მათ შორის, შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ ამბულატორიების, მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს.

წარმომადგენლობით ხარჯები

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიამ ისრაელის სახელმწიფოს ქალაქ აშდოდის ოფიციალური დელეგაციის ბათუმში ვიზიტისთვის დაგეგმილი საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულება⁴ გაუფორმა შპს „კალიფსო თრეველს“. ხელშეკრულების ფასმა შეადგინა 22 700 ლარი. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, მათ შორის ერთეულის ფასი განისაზღვრა დანართით, რომლის თანახმად, მთლიან სახელშეკრულებო ღირებულებაში 2 509 ლარი დღგ-ს გარეშე არის კომპანიის ლოჯისტიკის⁵ ღირებულება. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ მიწოდებაზე 2012 წლის 10 მაისს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად გაწეული მომსახურების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 22 700 ლარი, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტის დანართში კომპანიის ლოჯისტიკის ღირებულება არ არის მითითებული და ლოჯისტიკის ღირებულების ხარჯზე გაზრდილია მიწოდებული მომსახურებების ერთეულის ფასები.

ამასთან, შპს „კალიფსო თრეველის“ მიერ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

³ შეთანხმება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და ქალაქ ბათუმის მერიას შორის 2009 წლის 1 თებერვალს გაფორმებული N381-1/7-9 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 01/10/2011 წ.

⁴ ხელშეკრულება N168, 04/05/2012 წ.

⁵ დანართში მითითებულია „კომპანიის ლოჯისტიკა“



ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტით თვითმმართველობის ორგანოების სრული დაფინანსება განისაზღვრა 9 994 000 ლარით. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სრული დაფინანსების მოცულობა გაიზარდა 1 444 900 ლარით და შეადგინა 11 438 900 ლარი. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკასო ხარჯმა შეადგინა 11 287 827 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 98.7 %).

თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 8 084 000 ლარს. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების და შიდა მუხლობრივი გადანაწილების შედეგად, ხარჯების პარამეტრი გაიზარდა 1 474 100 ლარით და შეადგინა 9 558 100 ლარი. მათ შორის, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 1 363 000 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები - 37 700 ლარით და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევი ხარჯები - 82 200 ლარით. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 9 452 370 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 98.9 პროცენტია.

თვითმმართველობის ორგანოების არაფინანსური აქტივების ზრდის 2012 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შედგინა 1 910 000 ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 1 880 800 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 1 835 457 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 97.5 პროცენტია.

ბიუჯეტის ასიგნებების სრული მუხლობრივი გადანაწილება და შესრულება წარმოდგენილია ცხრილის სახით:

დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	გადახრა (დაზუსტებული ბიუჯეტი-საკასო შესრულება)	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების %
თვითმმართველობის ორგანოები	9 994 000	11 438 900	11 287 827	151 073	98.7
ხარჯები	8 084 000	9 558 100	9 452 370	105 730	98.9
შრომის ანაზღაურება	5 960 00	7 323 000	7 322 656	344	100
საქონელი და მომსახურება	2 050 500	2 168 400	2 074 427	93 973	95.7
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	82 000	87 700	81 460	6 240	92.9
მივლინებები	110 000	112,200	99,753	12,447	88.9
ოფისის ხარჯები	663 000	674 900	667 794	7 106	98.9
წარმომადგენლობითი ხარჯები	70 000	107 700	89 169	18 531	82.8
სამედიცინო ხარჯები	1 000	300	250	50	83.3




რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	49 000	39 500	39 444	56	99.9
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	525 000	513 400	483 284	30 116	94.1
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	550 500	632 700	613 272	19 428	96.9
სოციალური უზრუნველყოფა	28 500	31 700	31 187	513	98.4
სხვა ხარჯები	45 000	35 000	24 101	10 899	68.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 910 000	1 880 800	1 835 457	45 343	97.6

ბათუმის საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა


თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1 408 000 ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაფინანსების მოცულობა გაიზარდა 134 200 ლარით და შეადგინა 1 542 200 ლარი. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრებულოს საკასო ხარჯმა შეადგინა 1 533 744 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 99.5 %).

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს ხარჯების 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 1 355 000 ლარს. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების და შიდა მუხლობრივი გადანაწილების შედეგად, ხარჯების პარამეტრი გაიზარდა 135 600 ლარით და შეადგინა 1 490 600 ლარი. ცვლილება ძირითადად შეეხო შრომის ანაზღაურების (გაიზარდა 206 000 ლარით) და საქონელი და მომსახურების (შემცირდა 71 600 ლარით) მუხლებით გასაწევ ხარჯებს. ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 1 482 194 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 99.5 პროცენტია. საკრებულოს ხარჯების საკასო შესრულების (გადახდის) შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკის სახით (ლარში):





როგორც გრაფიკიდან ჩანს, ხარჯების ძირითადი ნაწილი - 1 176 000 ლარი (ხარჯების საკასო შესრულების 79.3%) გაწეულია შრომის ანაზღაურების მუხლით, საიდანაც 290 000 ლარის ხარჯი გაწეულია კომპენსაციის მუხლით, საკრებულოს წევრთა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით, ხოლო 379 500 ლარი გაცემულია პრემიის სახით (თანამდებრივი სარგოს 74.9%). თვეების მიხედვით გაცემული პრემიის ოდენობის შესახებ სრული ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამის სახით (ლარში):



თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდის 2012 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შედგინა 53 000 ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 51 600 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 51 550 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 97.3 პროცენტია.


ბათუმის მერიის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტით, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის, ბიუჯეტის პროგრამული კოდის 01 02 ფარგლებში, დაფინანსება განისაზღვრა 8 586 000 ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1 310 700 ლარით და განისაზღვრა 9 896 700 ლარით. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მერიის საკასო ხარჯმა შეადგინა 9 754 083 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 98.6 %).


თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის ხარჯების 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 6 729 000 ლარს. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების და შიდა მუხლობრივი გადანაწილების შედეგად, ხარჯების პარამეტრი



გაიზარდა 1 338 500 ლარით და შეადგინა 8 067 500 ლარი. მათ შორის, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 1 157 000 ლარით, ოფისის ხარჯები - 39 100 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები - 38 000 ლარით და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევი ხარჯები - 126 900 ლარით. ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 7 970 176 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 98.8 პროცენტია. მერიის ხარჯების საკასო შესრულების (გადახდის) შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკის სახით (ლარში):



როგორც გრაფიკიდან ჩანს, ხარჯების ძირითადი ნაწილი - 6 146 656 ლარი (ხარჯების საკასო შესრულების 77.1%) გაწეულია შრომის ანაზღაურების მუხლით, საიდანაც 3 607 081 ლარი წარმოადგენს თანამდებობრივი სარგოსა და საშვებულებო ანაზღაურების ხარჯებს, ხოლო 2 539 575 ლარი გაცემულია პრემიის სახით (თანამდებობრივი სარგოს 70.4%). თვეების მიხედვით გაცემული პრემიის ოდენობის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია დიაგრამის სახით (ლარში):





მერიის საჯარო მოსამსახურეებზე პრემიების გაცემა ხდებოდა ყოველთვიურად, საპრემიო კომისიის ოქმის საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით. პრემია გაიცემოდა ორ ნაწილად, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასი) გაანგარიშების მიხედვით, ძირითადად, თითოეულ თანამშრომელზე, თანამდებობრივი სარგოს სრული ან ნახევარი ოდენობით და დამატებითი საპრემიო ფონდის თანხა - განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის, ზეგანაკვეთური მუშაობისა და შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხის მიხედვით, თუმცა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის, ზეგანაკვეთური მუშაობისა და შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის 2012 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შედგინა 1 857 000 ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 1 829 200 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 1 783 907 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 97.5 პროცენტია.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ირაკლი ანანიძე

/უფროსი აუდიტორი/

29 დეკემბერი 2014 წელი



ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა № 1

ორგანიზაციის
ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო

ჩაბარების ვადა _____

ჩაბარა _____
(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2013 წლის -----1 იანვრის----- მდგომარეობით



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვ ის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის საავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტები და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული	1353		
190	მოთხოვნი დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და	1354		
200	მოთხოვნი ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე	1355		
210	გადახდილი დოა	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნი ბარტერით	1410		
270	მოთხოვნი სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნი წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნი არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნი	1450		
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნი	1460		
320	მოთხოვნი წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნი	1480		
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნი	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620		13809
390	შენიშნულ-ნაგებობები	2110		
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	258870	233733
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	3381	5257
420	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		262251	252799



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათ ვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	397	
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღა	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელი	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო სისტემაში	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		641
600	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დახმარებით დარიცხული	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	261854	252158
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		262251	252799
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
750	გადახდისუნარო დეპიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	43564	45646
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	77663	106386
810	ვადგადაცილებული დავალიანებები	09		
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მიწოდებადანი აქტივები	10		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



მთავარი მსახურით

[Handwritten signature]

ბალანსის დანართი ფორმა N2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება

სსიპ თვითმმართველი ქალაქის- ბათუმის საკრებულო

კოდი ____1001____

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2013 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	1355000	1490600	1482194	1482194	1482194	1553878	71684
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	970000	1176000	1176000	1176000	1176000	1176000	
030	1.1.1 ხელფასები	211	970000	1176000	1176000	1176000	1176000	1176000	
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	970000	1176000	1176000	1176000	1176000	1176000	
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	384500	506500	506500	506500	506500	506500	
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	285500	379500	379500	379500	379500	379500	
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	300000	290000	290000	290000	290000	290000	
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
130	1.1.2.1. ფაქტურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							
140	1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	376500	304900	296532	296532	296532	290806	-5726
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	32000	37700	37636	37636	37636	37636	
170	1.2.2 მივლინებები	222	20000	22200	22187	22187	22828	22828	641
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	108000	80800	80733	80733	80733	78718	-2015
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	20000	19700	11668	11668	11668	11668	0
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	1000	300	250	250	250	250	

220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	1000	0					
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (ბენზინის ნაშთი 384)	228	95000	89400	89304	89304	89304	87897	-1407
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	99500	54800	54754	54754	54754	51809	-29 45
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						77410	
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26							
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263							
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	8500	9700	9662	9662	9662	9662	
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							

500	1.7.2 სოციალური დახმარება	272							
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	8500	9700	9662	9662	9662	9662	
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	8500	9700	9662	9662	9662	9662	
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28							
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282							
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821							
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822							

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მ ა ჯ ვ ე ნ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე	
	ბეგმით	ფაქტიურად	ბეგმით	ფაქტიურად
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	41	41		
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	4	4		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი მდივანი:



ბალანსის დანართი ფორმა №2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება თვითმმართველი ქალაქის- ბათუმის საკრებულო

კოდი 1001

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური ----2013 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულებათა	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	53000	51600	51550	51550	51550
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	53000	51600	51550	51550	51550
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	31112					
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	53000	51600	51550	51550	51550
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	28900	28900	28900	28900	28900
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	24100	22700	22650	22650	22650
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					

240	1.2.სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 შხა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ბ.ა.



ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულო კოდი 1001
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2013 წლის 01 იანვრისათვის ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებეტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	261854
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1176000	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1533744
7200	საქონელი და მომსახურება	290806	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	59263	6100	მ.შ. მშობ.შემონატანი	
7400	პროცენტი		6200	სოც. ბავშვები	
7500	სუბსიდიები		6411	ბანკის %	
7600	გრანტები		6450		
7700	სოციალური უზრუნველყოფა	9662			
7800	სხვა ხარჯები				
	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა			აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600 -2000	არაფინანსური აქტივები	18147	1600 -2000	არაფინანსური აქტივები	10438
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
